საქართ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის

წელიწადი მეხ..

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო.

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. ...
4 „ 50,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 437 ოთხშაბათი, აპრილის 4 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი აცხადებს

**წევრების საყურადღებოდ.**

რომ ხუთშაბათს 5 აპრილს, საღამოს 6 საათზე შესდგება აღმასკომის სხდომა. განსახილველია საბინაო და მიმდინარე საკითხები.

**პრეზიდიუმი.**
№ 312—2—2

---

**სააღდგომოდ გამოვა!**

## ილიონი № 4.

შინაარსი:

**ლექსები:** ი. გრიშაშვილის, ტ. გრანელის ვ. გორგაძის, მარიჯანის, ა. ქუმბაძის, ი. ყანჩელის, „გარსი მარადი“. (მისტერია) კ. გამსახურდიასი.

**მოთხრობები:** ლ. ახობაძის, უ. იარალოსი.

**წერილები:** ი. ტატიშვილის: კრიშნა, კ. აბაშიძე: გარსი მარადი, პროფ. წერეთელი. მეროდა, ფონ ვეზენდონკი: სულთა მიგრაცია.

**ბიბლიოგრაფიები და რეცენზიები:**

1) ს. აბაშელის „ანთებული ხეივანი“. ვ. კაპანელის: „სული და იდეია“. „ლონდა“, „ასპიროზი“ „გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი“ კოლხეთი“ და სხვა.

**ჟურნალი ღირება ასი ათასი მანეთი.**

---

## განცხადება

**ხუთშაბათს, აპრილის 7-ს, საღამოს 6 საათზე**

### სახალხო სახლში

### შესდგება საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგშია მოხსენება. პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ და საბინაო საკითხი.

№ 313—2—1 **პრეზიდიუმი.**

---

## ერის სამსახური.

არავისათვის არ უნდა იყოს სადაო ის დებულება, რომ ერის და ხალხის სამსახურისათვის არ კმარა მყვირალა ფრაზები, ლამაზი სიტყვები და პატრიოტული სანტიმენტალიზმი. არც ერთს დიდ ეროვნულ მოღვაწეს არ ახასიათებს სანტიმენტალიზმის გავლენა, არც ერთი დიდი მოღვაწე არ შეიძლება იყოს უმოქმედობის მდგომარეობაში.

ჩვენი ძირითადი დებულება ერის სამსახურისათვის იმაშია, რომ ეროვნული საკითხი სოციალიზმის ნიადაგზე უნდა დავაყენოთ, რადგან გარეშე ამისა ობიექტიურად შეუძლებელია მისი გადაწყვეტა.

კაპიტალიზმმა თავის არსებობა მუშათა კლასის გაფცქვნით დაიწყო, დღეს იგი თავის არსებობას პატარა ერთა ჩაგვრითა და ექსპლოატაციით ასრულებს.

ვინც სდგას კაპიტალიზმის დაცვისა და გამაგრების ნიადაგზე, იგი ლოღიკურად უნდა იღებდეს იმპერიალისტურ და კოლონიარულ პოლიტიკას, პატარა ერთა ჩაგვრას და ამ ჩაგვრის დაკანონებას.

ჩვენს პარტიაშიაც იყო ისეთი პოლიტიკური „მოაზროვნენი“, რომელნიც მენშევიკების ფრაზეოლოგიის გავლენით „დასავლეთის იმპერიალისტებისაგან“ მოელოდენ ხსნას.

ჩვენთვის გარკვეულ იყო არა მარტო ის გარემოება, რომ ბურჟუაზიული სამყარო ვერ შესძლებდა „დემოკრატიის“ ინტერესთა დამცველების დახმარებას, არამედ მიღებული იყო ის ძირითადი დებულებაც, რომ შავი ზღვის შემყურე ხალხის პოლიტიკა შავი იყო არსებითად, მიუღებელი პრინციპიალურად, რადგან ისტორიაში უცნაური მოვლენა მოხდებოდა, კაპიტალიზმის განვითარების კანონები დაიმსხვრეოდა, რომ პატარა ერის თავისუფლების დაცვა მართლა შესძლებოდა პუანკარეს კაბინეტს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

არის ხოლმე ერის ცხოვრებაში ისეთი მომენტები, როდესაც რაიმე დიდი სოციალური ეფექტი გაიტაცებს მას ან მის მნიშვნელოვან ნაწილს, როდესაც გონვრული მოსაზრებანი ადგილს უთმობს გრძნობიერ გატაცებას, დასაბუთება—ფსიქოლოგიურ მოტივებს, მსჯელობა და ცოდნა—რწმენასა და ფანატიზმს.

ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა ჩვენში საბჭოთა წყობილების დამყარებისას. ის ხალხი, რომელნიც ყოველთვის პოლიტიკურ დაბლობში და ჭაობში ხეტიალობდა ვერ მისწვდებოდა პოლიტიკურ სიმაღლეს და ისტორიულ პერსპექტივას ვერ მოიხმარდა პოლიტიკის კრიტერიად, საზომად.

ამიტომ იყო, რომ ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ერის სამსახურს ხედავდა, და ზოგი დღესაც ხედავს, საბჭოთა წყობილების გაკიცხვაში. საგარეო პოლიტიკის შემყურე საზოგადოება, ევროპისაგან მოლოდინე ხნისა და გამარჯვების ამხედრებული იყო ყველა მის წინააღმდეგ ვინც მათ „დოქტრინას“ არ იზიარებდა.

კარგად უნდა გვცოდნოდა და ვიცოდეთ კიდეც, რომ დიდხნობით არ შეიძლებოდა ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება. თუ ერთი ფაქტი საერთაშორისო პოლიტიკიდან ან თეორეტიულ ექსკურსიები არ იკმარებდა ურწმუნო თომათა მორწმუნეთ ქცევისათვის, მთელი რიგი ფაქტები და წლების განმავლობაში პოლიტიკური მარცხი წარმოშობდა პოლიტიკის რევიზიას.

დღეს ჩვენ ვდგევართ ამ რევიზიის წინაშე.

მენშევიკების მარცხი და დაშლა—მარცხი და დაშლაა მთელი იმ კოალიციის, რომელიც მოქმედებდა მენშევიკების ხელმძღვანელობით.

პროვინციელი ორგანიზაციები გვაცნობებენ, რომ მემარჯვენე ფედერალისტების წრეებიდან შემოდის განცხადებანი პარტიაში შემოსვლის შესახებ. რედაქციას სისტემატიურად მოდის წერილები ამავე ხასიათის იმ ამხანაგებიდან, რომელნიც პარტიაში წინეთ მემარცხენე ფრთას ეკუთვნოდენ და შემდეგ კი პოლიტიკური მუშაობის გარეშე დადგენ. ასეთია ისტორიის ლოღიკა. ყალბ გზას შეცდომების დანახვა და გამოსწორება უშველის.

არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება. პარტიამ ფართოდ არ უნდა გაუღოს კარები ვინც დღეს მოისურვებს ჩვენს რიგებში შემოსვლას. საჭიროა მკაცრი კონტროლი, რომ ორპირული და მერყევი ელემენტები არ შეგვეპარონ ორგანიზაციებში.

ჩვენს მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი მშრომელი ხალხის ეროვნული და სოციალისტური საქმისათვის. ვინც ჭეშმარიტი მსახურია ერისა და ხალხის ის უნდა მოვიდეს ჩვენთან, მხოლოდ ის უნდა მივიღოთ ჩვენ.

---

## …ლი გზით ძველი მიზნისაკენ.

უმუშევრობამ მეტად სერიოზული ხასიათი მიიღო ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. ამ „სენით“ განსაკუთრებით ანტანტის ქვეყნებია დაავადმყოფებული, ყველაზე მეტად უმუშევერთა გამოლაშქრებას განიცდის ინგლისი.

დაწყებული თითქმის ომის მიწურულიდან, დღემდე გრძელდება უსაქმოდ, ფაბრიკა-ქარხნების გარეშე დარჩენილი უმუშევარ პროლეტარების ლეგიონები. გასულ წელს უმუშევრობა საგულისხმო დონეს აღწევდა. სამწუხაროდ, ბურჟუაზიამ გადაიტანა მუშათა აჯანყების ციებ-ცხელება. ამ ჟამად ინგლისში კვლავ დაინთო უმუშევრობის ცეცხლი, რომელიც ედება მთელ ბრიტანეთის სამფლობელოს. ორ მილიონ ნახევარზე მეტი მუშა ხელი დარჩენილია სამუშაოს გარეშე.

ინგლისი უმუშევრობის კლასიკური ქვეყანაა. ჯერ კიდევ ოთხმოცდა ათიან წლებში გაისმოდა უმუშევარ მუშების ყიჟინა ლონდონის ქუჩებში. რა იყო ამის მიზეზი? რასაკვირველია, სამრეწველო კრიზისი. დაგროვილი იყო აუარებელი ფაბრიკატები. არ იყო ფართო ბაზარი. საჭირო შეიქნა ფაბრიკა-ქარხნების კარების დროებით მიხურვა და მუშების ქუჩაში გამოყრა, აქტიურ კოლონიალი პოლიტიკამ ინგლისის კაპიტალისტური ბურჟუაზია იხსნა განსაცდელისაგან.

არსებითად ანალოგიური მოვლენებს აქვს ადგილი დღესაც ინგლისის ცხოვრებაში, მოვლენებს უფრო რთულის სახის და შინაარსის. თუ წინედ ბურჟუაზიამ საქონლის გასაღება ახალშენებში შესძლო, ახალშენები გაიხადა საბაზრო ასპარეზად, ახდა მის წინაშე სავსებით საწინააღმდეგო პირობები წამოიჭრა. ვეებერთელა, ოთხასმილიონიანი ინდოეთი და სხვა „წვრილი“ კოლონიები არ საჭიროებენ მეტროპოლიის ინდუსტრიულ ნაწარმოებებს. ახალშენები საკუთარ, ეროვნულ მეურნეობის განვითარების ფაზისში შევიდა. ისინი ამზადებენ საქონელს არა მარტო შინაურ ბაზრისათვის, არამედ უცხოეთისათვისაც.

ახალშენებას ეროვნულ მეურნეობის გზაზე შედგომამ მძლავრი ლახვარი ჩასცა ბრიტანეთის ინდუსტრიის შემდეგ განვითარებას. ინგლისის კაპიტალის მოქმედების არე ძალზე შეიზღუდა. იგი თითქმის თვით ინგლისის მაშტაბამდე დავიდა. მართალია, მსოფლიო ომმა გაანადგურა ევროპის „კულტურა“. მებრძოლი სახელმწიფოები ეკონომიურად ძალზე დაცა. განიავდა საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული სიმდიდრე, მოიშალა საწარმოო ძალები. ევროპის კონტინენტზე, ცხადია, დიდია საქონლის მოთხოვნილება, მაგრამ ევროპის ბაზარი ინგლისისათვის არ აღმოჩნდა ხელმისაწდომი. ევროპაზე ეკონომიური ბატონობის დროშა მსოფლიო ჰეგემონმა—ამერიკამ ააფრიალა. ამერიკასთან დაპირისპირება და შებრძოლება ძნელი აღმოჩნდა ომის ქარ-ცეცხლში გამობრძმედილ ინგლისის „ფინანსიურ არისტოკრატიისათვის“.

არც ახლო აღმოსავლეთში ჰპოვა ინგლისის ბურჟუაზიამ გამოსავალი. მისი გეგმები დაამსხვრია ახალგაზრდა ოსმალეთმა. უკანასკნელის ფართო ბაზარიც ამერიკის განკარგულებაში აღმოჩნდა.

ბაზრების შევიწროებამ ინგლისის კაპიტალიზმს ვიწრო სათარეშო მოედანი შემოუხაზა, ამან გამოიწვია, ლოიდ ჯორჯის სიტყვით რომ ვსთქვათ, „უვარგის (!) ფაბრიკა-ქარხნების დროებით (sic!) დაკეტვის აუცილებელი საჭიროება“. დახურვის პოლიტიკამ ინგლისის ბურჟუაზიული მთავრობა უმუშევართა ბათალიონების არსებობის ფაქტის წინაშე დააყენა.

ბურჟუაზიისათვის აშკარაა მუშათა მასსის უმუშევრად დარჩენის ლოღიკური შედეგი. კაპიტალის მაგნატებს კარგად აქვთ გათვალისწინებული ის ნიადაგი, რომელზედაც შესაძლოა მშრომელი ხალხის რევოლიუციონური მოძრაობის აღმოცენება.

უმუშევრობა უმთავრესი პირობათაგანია ბურჟუაზიული წეს-წყობილების წინააღმდეგ მუშათა კლასის ამხედრების—სოციალისტური რევოლიუციის.

ათიოდე წლის წინეთ ინგლისის ერთ-ერთ ქალაქში თავი იჩინა უმუშევრობამ. იგი ახლო მიდამოებსაც მოედო. გამოფხიზლდა მუშათა მოძრაობა. ეგრედ წოდებულ „სოციალ-დემოკრატიულ ფედერაციამ“ ბრძოლის გეგმები მოინიშნა. მთავრობის სულგრძელობა დაირღვა. ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრი ატორტმანდა. ეძებდნენ „გონივრულ პოლიტიკის“ გზებს, გამოსავალი საშუალებაც მალე გამოინახა. უმუშევრებს სამუშაო გაუჩინეს: სამოცდა ათ ვერსტის მანძილზე არხის გაყვანა. ამ საქმის მიზანი ის კი არ იყო, რომ ხელი შეეწყოთ სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის, როგორც ამტკიცებდა ბურჟუაზიული პრესა, არამედ მუშათა მღელვარების დაშოშმინება. ბურჟუაზიამ კიდევაც მიაღწია თავის მიზანს...

რა ზომებს მიმართავს თანამედროვე უმუშევრობის საწინააღმდეგოთ ბონარ-ლოუს კაბინეთი? ცხადია არა უსარგებლო არხების გაყვანას, კანალიზაციას. ასეთი არხები კიდევაც გადარეცხდა ბურჟუა—ლენდ-ლორდებს დიდს ოკეანეში!

ბონარ-ლოუს ახალი ხერხი გამოუნახავს: **უმუშევარ მასსის გადასახლება ავსტრალიაში.** ინგლისის ბურჟუაზია მზადაა ოკეანეს გაღმა გადაისროლოს, მშობლიურ კერას მოაცილოს საწყალი მშრომელი ხალხი. გადასახლების გზით კაპიტალისტთა კლასი ორ მიზანს ანხორციელებს ერთ და იმავე დროს. პირველი: ხდება ზედმეტ მუშა ხელის თავიდან მოშორება და მეორე: სპობს და საშოშივე ანადგურებს რევოლიუციის „საშინელებას“. ჩვენთვის ცნობილია ბურჟუაზიის მუშათა კლასთან ბრძოლის მრავალი მეთოდები. მაგრამ „გადასახლების პოლიტიკა“ არსებითად უმკაცრესი ზომაა, მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის და მთლიანი ზონის წინააღმდეგ მიმართული.

შესძლებს ინგლისის ბურჟუაზია შავ გეგმის რეალიზაციას, მუშათა კლასის სამუდამოდ დამონავებას და მშრომელთა ზურგზე საბოლაო გამარჯვების კოშკის აშენებას?—არც ისტორიული მაგალითები, ფაქტები და გაკვეთილები, არც ინგლისის პროლეტარიატის პოლიტგანათლების დონე და რევოლიუციონური შეგნება არ იძლევა ამ კითხვებზე დადებით პასუხის გაცემის შესაძლებლობას,

ბრიტანეთის ბურჟუაზიის დახავსებული მიზანია საკუთარ ჰეგემონიის განვითარება—შენარჩუნება. რევოლიუციის სუსხის ლიკვიდაცია მისი ძველი იდეალია. მუშათა კლასის რიგების დაშლისაკენ იგი ახალის გზით მიემართა. გაიყვანს ეგ გზა მას სამშვიდობოს? ფუჭი იმედია.

# რადიო დეპეშები

## რურის ოლქის ოკუპაცია

### სიტყვა და საქმე.

**ბერლინი 3 აპრილი.** გაზეთი „ფორვერტსი“—მოაგონებს, რომ იმ დღეს, როცა პუანკარემ განუცხადა ინგლისის მუშათა პარტიის წარმომადგენლებს, რომ საფრანგეთის მთავრობა ებრძვის არა გერმანიის მუშებს, არამედ გერმანიის კაპიტალისტებს, სწორეთ ამ დღეს საფრანგეთის ჯარები ესენში იარაღით თავს დაესხენ მუშებს და მოკლეს 43 კაცი.

### კუნოც ხელს უწყობს.

**ბერლინი 3 აპრილი.** ბერლინის გაზეთების ცნობით კანცლერი კუნო რამდენიმე ხნის წინათ არა თუ იღებდა ნაციონალისტური შეთქმულების ხელმძღვანელ ლეიტენანტ როსბახს, არამედ მისი პირადი მდივანი არის ბერლინის ნაციონალისტური კლუბის წევრი, რომლის წევრები, და მათ შორის ალბათ კუნოს პირადი მდივანიც, ხელს უწყობდენ შეთქმულებს. გაზეთები უსაყვედურებენ კუნოს, რომ მიუნხენში ყოფნის დროს მან პატივისცემით მოიხსენია რეაქციონური ორგანიზაციები. დასასრულ გაზეთები ეჭვობენ, თითქო კუნომ არ იცოდეს, რომ მონარქისტული საზოგადოებები და კავშირები მიზნათ არ ისახავენ სახელმწიფო გადატრიალებას.

### ესენის ამბები.

**პარიზი. 3 აპრილი.** საფრანგეთის ხელისუფლებამ, კრუპის ქარხნებში მომხდარი ამბების გამო, დაატუსაღა ამ ქარხნის ოთხი მთავარი დირექტორი. გერმანიის პრესა უარყოფს დირექციის დანაშაულს 31 მარტს მომხდარ ინციდენტში. ფრანგული პრესა თავის მხრივ ამტკიცებს, რომ დირექციასთან წინასწარ შეუთანხმებლად მუშები ვერ შესძლებდენ სახელოსნოების მიტოვებასო.

**ბერლინი. 3 აპრილი.** ესენიდან მიღებულ ცნობებით, ირკვევა რომ საფრანგეთის ჯარების სასტიკი საქციელი გამოწვეულია ჯარის სარდლობის და უმაღლესი კომისიის დაუდევრობით, რასაც შედეგათ მოყვა ისეთი სისასტიკე, რომელსაც ოკუპაციის მთელს პერიოდში არ ქონია ადგილი. საქმე იმაშია, რომ კრუპის ქარხნების სამანქანო განყოფილების დაკავების შემდეგ საფრანგეთის ჯარები უცდიდენ უმაღლესი კომისიის განკარგულებებს. კომისია მოვიდა მხოლოდ ორი საათის შემდეგ და რადგან ყველა მუშები შეკრებილი იყვენ, ისევ უკან გაბრუნდა ჯარებისათვის დირექტივების მიუცემლად. მიუხედავად იმისა, რომ მუშების წარმომადგენლები შეეცადენ თავიდან აეშორებიათ კატასტროფა, საფრანგეთის ჯარებმა სროლა აუტეხეს მუშებს.

**ბერლინი. 3 აპრილი.** ესენში მომხდარი ამბების გამო კავშირი ბერლინსა და ესენს შორის გაწყვეტილია.

### კომინტერნის მოწოდება ესსენის ამბების გამო

**მოსკოვი 3 აპრილი.** ესსენის ამბების გამო კომინტერნის აღმასკომმა მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის სამხედრო წრეები ტყვიისმფრქვეველების ცეცხლით აცნობონ მსოფლიო პროლეტარიატს რურის ოკუპაციის შინაარს. ესსენის მუშების გვამები მოწმობენ, რომ ოკუპაცია მიმართულია არა გერმანიის კაპიტალისტების, როგორც ამაში არწმუნებდნენ საფრანგეთის გენერლები რურის მუშებს, არამედ გერმანიის მუშების წინააღმდეგ. პირფერობით ღვრის რა ცრემლებს, გერმანიის ბურჟუაზია გულში იცინის კმაყოფილებით ამ სისხლის ღვრის გამო, რომელსაც მან თვითვე შეუწყო ხელი. მათი ანგარიშით ფრანგების იმპერიალისტების მხეცობამ უნდა დაავიწყოს გერმანიის მუშებს უსირცხვილობა გერმანიის კაპიტალისტების, რომლებიც საფრანგეთის იმპერიალიზმთან ბრძოლის მთელს სიმძიმეს აკისრებენ მუშებს. სისხლის მღვრელი შეტაკებები ახარებს აგრეთვე პუანკარესაც, რადგანაც მან ხელი უნდა შეუშალოს ფრანგების ჯარების რურის მუშებთან დაძმობილებას. მოწოდება მიმართავს საფრანგეთის მუშებს, რათა უკანასკნელებმა გამართონ დემონსტრაციები რურის ოლქის სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ. გერმანიის მუშებს მოუწოდებენ საფრანგეთის ჯარის კაცებთან დაძმობილებისა და დემონსტრაციისაკენ გერმანიის ნაციო-

ნალისტების ცდების წინააღმდეგ, რომლებიც უიარაღო მუშებს აგებენ ფრანგების ხიშტებზე.

**დახმარება რურის ლტოლვილებს**

**მოსკოვი** 3 აპრილი. გერმანიის მთავრობა გზავნის საშუალებებს რურის ლტოლვილებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. დახმარების აღმოჩენის საქმეს კისრულობს პროფკავშირების წითელი ჯვარი. სულ რურიდან გადასახლებულია 20,240 კაცი.

**დაწვრილებითი ცნობები ესენის ამბების შესახებ.**

**მოსკოვი**, 3 აპრილი. ბერლინიდან მიღებული ცნობები ნათელს ფენენ ესენში მომხდარ ამბებს. შეტაკების დროს, რომელიც მოხდა საფრანგეთის ჯარებსა დი მუშებს შორის მოკლული იქმნა 11 კაცი, მათ შორის კომუნისტი უანდერი, დაჭრილია 54 მუშა.

„როტე-ფანეს“ ცნობით ნაციონალისტები შეეცადენ ესარგებლათ საფრანგეთის ჯარების მიერ საავტომობილო გარაჟების დაკავებით და გამოეწვიათ შეტაკება კრუპის ქარხნის მუშებსა და ფრანგებს შორის. ბერლინის გაზეთები წერილებში ვეებერთელა სახელწოდება „ესენის სასაფლაო“ ცდილობენ მომხდარი ამბები გამოიყენონ ნაციონალისტური გრძნობების გასაღვივებლად. ირკვევა, რომ კომუნისტი ჟანეალერი პირველად დაეცა მსვერპლად როცა შეეცადა ნაციონალისტები შეეჩერებია. „როტე-ფანეს“ აუწყებენ, რომ ფრანგმა ოფიცერმა უარი განაცხადა მუშებთან მოლაპარაკებაზე და ბრძანება მისცა ჯარს ცეცხლი გაეხსნათ.

**ფრანგები წინ იწევენ.**

**რომი.** 3 აპრილი ვოლვის სააგენტოს მიერ მანგეიმიდან მიღებული ცნობით, საფრანგეთის ტყვისმფრქვეველის სამმა რაზმმა გადაიარა ნეკკარი. ამ ჯარის ნაწილმა დაიკავა ბენცის ძველი ქარხნები, მეორე კი გაიარა სადგურისაკენ და დაიკავა ის,

**„სოციალისტი“ ვანდერველდე და კონტრიბუცია.**

**პარიზი.** 3 აპრილი. სოციალისტების კონფერენციაზე ბრიუსელში ვანდერველდე იცავდა გერმანიის მიერ ბელგიისა და საფრანგეთის სასარგებლოდ კონტრიბუციების გადახდის საჭიროებას. ვანდერველდეს შემდეგ გამოსული ორატორები მოუწოდებდენ გერმანელ სოციალ-დემოკრატებს მხარი არ დაუჭირონ კუნოს მთავრობას.

## უცხოეთი

**დამოუკიდებელთა ყრილობა ბერლინში**

**მოსკოვი.** 3 აპრ. დამოუკიდებელთა ყრილობაზე ბერლინში გამოცხადდა 60 დელეგატი. ლედებურის აზრით, პარტიის უახლოეს ამოცანას შეადგენს ფართო მასების დაპყრობა, რადგან დამოუკიდებელთა პარტია წარმოადგენს მუშათა კლასის უმნიშვნელო უმცირესობას. რურის საკითხის შესახებ კამათის დროს გამოირკვა ლედებურის და ლიბკნეხტის ჯგუფთა შორის არსებული სასტიკი განხეთქილება: ლიბკნეხტი მოითხოვდა ბრძოლის გადატანას რევოლიუციონურ კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც მიმართულ იქნება უპირველესად ყოვლისა გერმანიის კაპიტალისტების წინააღმდეგ. ლედებურის ლიტყეით ლიბკნეხტის განცხადება თავზარს სცემს საერთაშორისო სოციალიზმს, რადგან პარტიამ ყოველთვის თავიდან უნდა აიცილოს ყოველივე ის, რაც შეიძლება განხილულ იქმნას, როგორც საფრანგეთის მილიტარიზმის ხელის შემწყობი. დიდი უმრავლესობით მიღებულია ლიბკნეხტის რეზოლიუცია, რომელშიდაც აღიარებულია პრინციპი საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლისა გერმანიისა და საფრანგეთის კაპიტალისტების წინააღმდეგ. რეზოლიუცია უარყოფს მთლიან ეროვნულ ფრონტს და პასიურ წინააღმდეგობას და მოუწოდებს მუშებს გამოიყენონ რურის კონფლიქტი გერმანიის კაპიტალიზმზე გასამარჯვებლად.

**გერმანიის ოქროს სესხი**

**მოსკოვი.** 3 აპრ. მსხვილ მრეწველების პასიკობის გამო გერმანიის ოქროს სესხით შეკრებილია მხოლოდ 50 მილ. მრეწველთა წრეების უარყოფითი დამოკიდებულებას სესხისადმი შედეგათ მოყვა ის, რომ ხელმოწერა უნდა დაფაროს ბანკებმა, რომლებიც უზრუნველყოფს სესხს. „ფორვერტსი“ ამბობს: „სესხის შედეგი წარმოადგენს საუკეთესო მასალას გერმანიის მრეწველთა წრეების გასამართლებისათვის“. გაზეთი გაკვირვებულია, რომ კაპიტალისტები ანგარიშს არ უწევენ მას, რომ გერმანიაში ბურჟუაზიული მთავრობაა და სესხის არა ხელსაყრელი შედეგები აიძულებენ სახელმწიფო ბანკს ხელახლად გაადიდის თავისი დეპოზიტები უცხოეთის ბანკებში.

**რუსეთ-ჩინეთის კონფერენციის განახლებისათვის**

**მოსკოვი.** 3 აპრ. რ. ს. ფ. ს. რ—ის სრულ უფლებიან წარმომადგენელმა ჩინეთში ამხ. იოფემ გამოსთქვა კმაყოფილება ჩინეთის წინადადებით განახლებულ იქმნას რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკება. მომავალ კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგაციის თავმჯდომარეთ დანიშნულია იმ კომისიის წარმომადგენელი, რომელიც იხილავდა საკითხს შანდუნის დაბრუნების შესახებ.

**იხდიან ვალებს**

**ლონდონი.** 3—4 აპრ. მექსიკიდან იუწყებიან, რომ მექსიკის საგარეო ვალების გადახდა დაიწყება ერთი კვირის შემდეგ, როცა ნიუ იორკის ბანკების დეპოზიტში შეტანილი იქნება საჭირო თანხები.

**რუსეთ-იაპონიის შეთანხმება.**

**მოსკოვი**, 3 აპრილი. რადგან რუსეთისა და იაპონიის ხელისუფლებების მიერ მიხწეულია შეთანხმება იაპონელებზე რუსეთის სათევზო სამრეწველოების იჯარით გაცემის შესახებ, იაპონიის მინისტრთა საბჭომ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენების თანახმად, დაადგინა დაუბრუნოს რუსეთის მთავრობას ის თანხა, რომელიც გადასცეს თევზის მრეწველებმა იაპონიის მთავრობის შესანახავათ.

**ამხ. იოფეს ხახარგებლო მოგზაურობა.**

**მოსკოვი**, 3 აპრილი. ტოკიოდან მიღებულ ცნობების თანახმად ვიკონტ ტოტამ ინახულა რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიანი წარმომადგენელი ჩინეთში ამხ. იოფე. მასთან საუბრის დროს ტოტამ განუცხადა ჟურნალისტებს: „იოფეს ჩამოსვლა სასარგებლოა, რადგან მისი საშუალებით იაპონიის ხალხში ფეხი მოიკიდა შეგნებამ, რომ [illegible] საჭიროა საბჭოთა რუსეთთან შეთანხმება“.

## ახლო აღმოსავლეთი.

**გემრიელ ლუკმისთვის.**

**ბერლინი**, 3 აპრილი. „ვენსმისტერ გაზეთის“ ვაშინგტონელი კორესპოდენტი იუწყება, რომ ოფიციალური ცნობით ამერიკის მთავრობის სახელმწიფო დეპარტამენტს განზრახვა აქვს მომავალ ლოზანოს კონფერენციაში ახლო-აღმოსავლეთის საქმეების გამო უფრო ახლო მონაწილეობა მიიღოს ვიდრე დღემდი იღებდა. ამერიკას განზრახვა აქვს მთავარი ყურადღება მიაქციოს კაპიტულიაციის და სხვა და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის მესოპოტამიაში თანასწორ უფლებებით სარგებლობის საკითხს. კორესპოდენტი გამოსთქვამს აზრს, რომ ლოზანოს კონფერენციას მოყვება ახალი მსოფლიო საზავო კონფერენციის მოწვევათ.

## ახალი ამბები.

**ხვალინდელი ნომერი ჩვენი გაზეთისა გამოვა ექვს-გვერდიანი და ელირება ჩვეულებრივ 10,000 მან.**

**საქართველოს პროფ. კავშირებში.** დახმარება ნაძალადევის თეატრს. პროფკავშირთან არსებულ კულტგანყოფილებამ დაადგინა გადადოს თავის თანხიდან 200 მილიონი მანეთი ნაძალადევის თეატრის და კლუბის დასამთავრებლად. აგრეთვე აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე რათა ამ მიზნისთვის გაღებულ იქმნას სათანადო თანხა.

— **კამოს სახელობის სავადმყოფო.** პროფკავშირების მთავარ პრეზიდიუმმა დაადგინა გაფართოვებულ იქმნას კამოს სახელობის საავადმყოფო შენობის მხრივ.

— **შრომის ინსპექტორების შტატი.** პრეზიდიუმმა დაადგინა იყოლიოს ოთხი რაიონის და ერთი რაიონს გარეშე ინსპექტორნი. რაიონების ინსპექტორებათ აირჩიესთ: ამხ. ჯაგინოვი, სუხარუკოვი, სალიაშვილი, ბუღდანოვი და რაიონის გარეშე კი ამხ. ამიროვი. შრომის ინსპექტრისად კი აირჩიეს ამხ. ნ. მახარაძისა.

ამხ. ქლენტი დანიშნულია ქალ. ბათომის შრომის ინსპექტორად. ბუდაგიანი დანიშნულია სიღნაღში ამავე თანამდებობაზედ.

— **ხელოვანთა სასახლეში.** ხელოვნების მუშაკთა კავშირმა აღძრა შუამდგომლობა კავშირების მთავარ პრეზიდიუმის წინაშე, რათა ხელოვანთა სასახლეში კავშირის კულტურულ საჭიროებისათვის დათმობილ იქმნას რამოდენიმე ოთახი. პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

— **საჩივარი ქართველ ხელოვანთა საზოგადოებაზე.** ხელოვნების მუშათა კავშირმა მთავარ პრეზიდიუმში საჩივარი შეიტანა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებაზე, რომ მან მიისაკუთრა საქართველოს ხელოვანთა კავშირის სახელი. პრეზიდიუმმა დაადგინა წინადადება მიეცეს სახალხო განათლების კომისარიატს, რათა მან მოხსნას კავშირის სახელწოდება აღნიშნულ საზოგადოებას.

— **საურთიერთო დამხმარე კასსა.** ქ. ტფილისის 12 სხვა და სხვა კავშირთან დაარსდა დამხმარე კასსები, სადაც ირიცხება 7885 კავშირის და 30.000 საერთო წევრი. პრეზიდიუმმა დაადგინა კავშირთა ყველა წევრი სავალდებულო გახადონ ჩაეწერონ კასაში და სისტემატიურად გადაიხადონ ყოველთვიურათ 1 პროცენტი ჯამაგირებიდან, რათა საურთიერთო დამხმარე კასსები მოწყობილ იქმნას უფრო ფართო ფარგლებში, როგორც აუცილებელი საჭირო ორგანიზაცია მშრომელთათვის გაჭირვების დროს. ამის გამო ცენტრალურმა პრეზიდიუმმა დაადგინა გააფართოვონ დამხმარე კასსები საქართველოს რესპუბლიკის ყველა დაბა-ქალაქებში იმ მასშტაბითვე, როგორც არის ტფილისში. კასსიდან დახმარებას მიიღებენ მხოლოდ წევრები და ისიც უკიდურეს გაჭირვების შემთხვევაში, დახმარება გაცემულ იქნება მხოლოდ იმ პირობით, თუ ფულის გამტანი წევრი დანიშნულ დროს დააბრუნებს ვალს. უვადო დახმარება გაცემულ იქნება უკიდურეს და ცალკე შემთხვევაში. კასის წმინდა შემოსავალი კი გადაქცეულ იქნება ოქროს ფონდათ, რათა მომავალში ქონდეს მას მეტი გარანტია. აგრეთვე დადგენილია, რომ კასის ვალის გადახდა მოხდეს იმ კურსით, რომლითაც წაღებულ იყო იგი კასსიდან.

— **პროლეტარულ ხელოვნების ინსტიტუტი.** ამხ. იგნატიევმა წინადადება შეიტანა პრეზიდიუმში, რათა ტფილისში გახსნილ იქნას პროლეტარულ ხელოვნების ინსიტუტი. პრეზიდიუმმა ნაადრევათ სცნო აღნიშნული პროექტი, მხოლოდ დაადგინა პროლეტარულ ხელოვნების ყველა მუშაკთა მობილიზაცია გამოაცხადოს, რათა საძირკველი ჩაეყაროს მომავალ პროლეტარულ ხელოვნებას.

— **მომღერალი სანდრო კავსაძე.** პრეზიდიუმს მოუვიდა ჭიათურიდან განცხადება, რათა დამსახურებულ სახალხო მომღერალ და ლოტბარ სანდრო კავსაძეს დაენიშნოს პენსია. პრეზიდიუმმა გადასცა განცხადება სახალხო განათლების კომისარიატს დანიშნულისამებრ.

— **შოფერების თავგასხულობა.** პრეზიდიუმმა დაადგინა გამორიცხოს კავშირიდან ის შოფერები, რომლებიც დაარღვევენ ავტომობილების მიმოსვლის დროს საერთო წესებს.

# შენიშვნის მაგიერ *)

(მოქ. ი. ფანცხავას ფელეტონის „აკაკი“-ს გამო) გაზეთ „ტრიბუნი“-ს № 431-ში დაისტამბა ქართველ მცხოვან მწერალ და საზოგადო მოღვაწის მოქ. ი. ფანცხავას ფელეტონი „აკაკი“ (აკაკის ძეგლის დადგმის გამო).

ჩვენს შენიშვნას ამ ფელეტონის **მხოლოდ ორი ადგილი იწვევს.**

ფელეტონმა აკაკი აგვიქანდაკა—როგორც ქართველი ხალხის სიღრმეში მღერალი პოეტი, რომელიც ქართლის ბედს თუ უბედობას საქართველოს წიაღშივე, მხოლოდ ქართველი ხალხისავე თვით შემეცნებით და ეროვნულ გამოფხიზლების ანგარიშით სწყვეტდა... თავისთავად ცხადია ჩვენ ასეთ შეხედულებაზე არა ვდავობთ, რადგან იგი ქართველ ერში დიდი ხნის გაბატონებულ და თან ჭეშმარიტ აზრად მიგვაჩნია.

ი. ფანცხავა ეხება 1877—1878 წ. წ. რუსეთ-ოსმალეთის ომს, რომელმაც ეროვნულ თვით ხელმწიფების გარეშე მდგომ მაშინდელ ქართველ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს **რაღაც იდუმალ სარგებლობის შესაძლებლობა აღუმართა წინ.**

**გ. წერეთლის** და გ. ყაზბეგის ხსენების დროს ი. ფანცხავა გამოვიდა ერთგვარ მსაჯულის როლში.

**გ. წერეთელი და გ, ყაზბეგი (?) შეთაურობდენ შეთქმულებას**, რომელთა გარეშე დადგა აკაკი.

არ ვიცი ამით რა სურდა ეთქვა მწერალს, მაგრამ ერთი კი ცხადია—ი. ფანცხავამ აკაკი დაასაბუთა, როგორც სწორი ხაზის მებრძოლი და ქართლის სინამდვილის რაციონალ სიცხადით შემცნობი, ხოლო შეთქმულთა ჯგუფი თუ შემცდარებად არა ყოველ შემთხვევაში ისეთ **ინერციის** და ზერელე შთაბეჭდილებით მომქმედებად, რომელთა ნასაქმი აწონვის დროს ქართველ ხალხს არავითარ ღირებულ სიმძიმეს არ უტოვებდა.

ი. ფანცხავას მოგონებანი და აზრი ჩვენთვის ძალიერსად ძვირფასია—ვინაიდან იგი თანამედროვეა მე-19 საუკუნის ჩვენ ბუმბერაზ შვილებისა და მის მახსოვრობაში არის ცოცხალი შთაბეჭდილება საქართველოს გუშინდელ რაობისა, მაგრამ ჩვენ მას ვერ დავეთანხმებით 1878—1878 წ. წ. რუსეთ-ოსმალეთის ომიანობით გამოწვეულ „იმედი“-ს აღნუსხვაში და ამ „იმედით“ ამოქმედებულ ჯგუფის დახასიათებაში.

აქვე ზნეობრივ მოვალეობად ვრაცხთ ვალიათ, რომ მე-19 საუკუნე ჩვენი თაობისათვის ბნელი ბურუსით არის მოსილი და მის შესასწავლად, მის სარკეში ჩასახედათ აქამომდე პოპულიარი ნაშრომი არ არსებობს.

მე-19 საუკუნეზე ჩვენა გვაქვს მრავალი შენიშვნები, წერილები და ისტორიულად წოდებული მონოგრაფიებიც, რომელნიც სავსებით ტენდენციურ ხასიათისა არიან, მაგრამ სწორი მიუდგომელი გამოკვლევა ამ საუკუნის შესახებ არ გვეღირსა, რის გამოც ჩვენის ფიქრით, ეს საუკუნე ჩვენთვის ჯერჯერობით ისევ ნილაბში წევს და მის შესახებ ყოველი თქმა მეტად ფრთხილი მრავალჯერ შეფასებული და აწონილი უნდა იყოს.

ჩვენ გულწრფელად ვაცხადებთ, რომ მე-19 საუკუნე ჩვენზე უფრო მის თანამედროვეს ი. ფანცხავას აქვს განცდილი, მაგრამ უმართებულოდ მიგვაჩნია მისი შეხედულება გ. წერეთელზე და ყაზბეგზე—ანუ საერთოდ „შეთქმულთა ჯგუფზე“.

თავდაპირველად ამ საუკუნეში ჩვენ ქართველი ინტელიგენცია უნდა დავჰყოთ ცალკე კატეგორიებად, რომლის დროსაც ჩვენ უთუოდ შევამჩნევთ ინტელიგენტს პრაქტიკოსს და ინტელიგენტს თეორეტიკოსს. **აკაკი საქართველოს სიცხადეში არასოდეს არ ყოფილა წარმოდგენილი როგორც მოქმედითი ელემენტი, როგორც პრაქტიკი,** აკაკი იყო ტკბილი მასიური ქადაგი-მომღერალი!..

აკაკი მარად ჟამს პარნასელთა ხომლში სადგურობდა და მასში დღიურობა, სახელმწიფო პოლიტიკის ეშმაკეულობა, საზოგადო მაჯის ცემის ცვალებადობანი აქტიურ განსხეულებას ვერ პოულობდა, აკაკიმ ისე განვლო თავის დამშვენებული სამგოსნო ამ ქვეყნიურობა, რომ რაიმე სამსახურშიც კი არ შესულა.

გ. წერეთელი და ყაზბეგი კი ინტელიგენციის აქტიური მოწინავენი იყვენ, რუს-ოსმალთა ომით ანთებული „იმედი“ არ იყო **მთლად ილიუზია**, გარდა იმისა, რომ ამ ომს ჰქონდა მთელი რიგი საიდუმლო დაპირების ელემენტებისა, იგი ჰპირდებოდა ქართველებს სამუსლიმანო საქართველოს შემომტკიცებას და რუსეთის კალთეპ ქვეშ საქრისტიანო საქართველოსთან გაერთიანებას... ვინ იტყვის რომ ეს არ ჩაითვლებოდა უდიდეს მადლად და ვინ უძრახავს გ. წერეთელს როცა იგი ამ მრწამსით **შეიმედებდა** გეოგრაფიულად საქართველოს ბჭეებთან ატეხილ ომს!..

პოლიტიკურ მოღვაწეს თავის აქტივობაში საკუთარი თავისებური „სეკრეტი“ აქვს, რაც ზოგ მაღალ იდეალ მოაზროვნეს ჩვეულებრივ ავანტიურად და სიბეცედ მიაჩნია, იგი პოლიტიკოსს დადებითად აქვს მიღებული..

**გარეშე ძალაზე დაყრდნობა** რა დასაძრახისი იყო თუ ეს დაყრდნობა მინიმუმ სიკეთეს მაინც ჰპირდებოდა აპოლიტიკობაში მყოფ ქართველ ხალხს!.. რა თქმა უნდა გარეშე ძალების გამოყენების დროს ყოველთვის გასარჩევია ორი რამ **ვისთვის და რისთვის დაყრდნობით გარეშე ძალას**, თუ იგი მშრომელი ხალხის ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული, რა თქმა უნდა დასაგმობია, თუ მით შეიძლება მშრომელმა ხალხმა მოიგოს რა თქმა უედა მისაღებია.

**გ. წერეთელი** თუ 1878 წ. ასეთ გზას ადგა იმავ გიორგი წერეთელმა 15 წლის შემდგომ **მესამე დასის** დაბადება იწინასწარმეტყველა და ბოლოს სათავეშიც მოექცა ხსენებულ დასს. ამით ის მტკიცდება, რომ გ. წერეთელი იყო პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც უთუოდ ოპორტიუნისტობდა პოლიტიკურ ამინდის მიხედვით!..

**შემდგომ ი. ფანცხავა** ეხება **ილია ჭავჭავაძეს.** რომელმაც ნ. ნიკოლაძესთან ერთად **სოციალიზმს**(?) ზურგი უჩვენა და ბიუროკრატიას შეურიგდა, იგი აღიარეს **ი. ჭავჭავაძემ და ნ. ნიკოლაძემ** (ხაზი ჩვენია,) გარდაუვალ უძლეველ რეჟიმად, ამიტომ მოინდომეს მასთან შეგუება და მისი **გამოყენება.** ხაზი ჩვენია.

ჩვენ ნ. ნიკოლაძეს არ მოვიხსენიებთ **ილიას** გვერდით. ამ ორ ფიგურათა შორის დიდი ზღვარია, მაგრამ ეს სხვათაშორის.

დიდი ილია, რომლის ფხრებზეც აწყვია მთელი მე-19 საუკუნე მისი ტრაგიულ თუ იმედიან განცდებით ბუმბერაზი ილია, რომელმაც სირაინდით გააქრო 801 წლის შემდგომ ქართველ ინტელიგენციის ტვინში გამჯდარი უნიათობა და გაარღვია **ორბელიან—„ჩინოვნების** მოჯადოებული წრე, ჰენიოსი **ილია**, რომელმაც მოგვცა სრულიად ახალი ევროპიულობით ანთებული აზროვნება, ილია რომლის ულევი მადლი ყოველ ჩვენგანს უნდა ეცხოს თუ იგი ქართველია, „კაკო ყაჩაღის“ „განდეგილი“-ს, „აჩრდილის“ „კაცია ადამიანი“-ს ავტორი **ილია,** „პარიზის“ და „მუშა“-ს დამწერი ილია ასე თამამის და ისიც უმართებულო საყვედურის ღირსი არ არია. და არც არასოდეს იქნება!.. ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ინტელიგენციის **ორგვარობა—მოქმედი და მოაზროვნე. ილიაში** ჩვენ ვხედავთ მრავალ სახებას, იგი იყო ძლიერ, პუბლიცისტი, ღრმა გაგების მწერალი და ამავ დროს ნაყოფიერი პრაქტიკი... ვის არ ახსოვს მისი საშვილისშვილო ღვაწლი ჩვენს იმ დროინდელ საზოგადო ინსტიტუტებში!..

„მაგრამ საიდან, **ილიას** ნაწერის, რომელ სტრიქონიდან დაინახა პატივცემულმა ი. ფანცხავამ, რომ **ილია** ბიუროკრატიას შეურიგდა, რომლის საქართველოში კულტურტრეგერობა კავკავის გზაზე შეხვედრილ პოდპორუჩიკის სახით ამხილა მგოსანმა...

შესაძლებელია ქართველ მოაზროვნეებში არსებობდეს ახირებული ტენდენცია **ილიას** დადაბლების და **აკაკის** ამაღლების, რაც ჩვენ უდიდეს დანაშაულად მიგვაჩნია.

კითხვის ასე დასმა **აკაკი სჯობია თუ ილია**—ყოვლად წარმოუდგენელი და დაუშვებელია. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ **პეტრე მირიანაშვილის** აზრს ამას წინად გაზ. „ტრიბუნაში“ გამოთქმულს რომ **ილიას** და **აკაკის** დაშორება არ შეიძლება, ისე როგორც არ შეიძლება კითხვის დასმა იმის შესახებ თუ რომელი მათგანი სჯობია!..

ხოლო თუ **ილია** სცდილობდა ძველი რეჟიმის **გამოყენებას,** რასაც ი. ფანცხავა თვით გვიმოწმებს, ვაშა **ილიას** ეს განა მოსაწონი არ არის?..

დიდი რევოლიუციონერები იმპერატორის სახელმწიფო სათათბიროში, ერობებში და ქალაქის მმართველობებში შედიოდენ იმ მიზნით, რომ მეფის რეჟიმისთვის ცოტა რამ მაინც ჩამოეგლიჯათ მაგრამ ამას ვინ დაუწუნებს მათ?..

კარგ მებრძოლად არ ჩაითვლება ის, რომელიც ყველგან ჰყვირის იმას, რაც მრწამსად აქვს. პოლიტიკურ ამინდს ანგარიშს არ უწევს საბრძოლ იარაღს და საშუალებებს არ იცვლის და თავის თავს რევიზიას არ უკეთებს.

ალექსანდრე მესამეს ბატონობის დროს **ილიას** სხვა გვარად მოქცევა არ შეეძლო. ხოლო მის მიერ არჩეულმა გზამ უთუოდ უდიდესი სიკეთე მოუტანა ქართველ ხალხს...

და თუ მე-19 საუკუნის ბუმბერაზებიდან ვისმეს დაშვენდებოდა საქართველოს გულში, ტფილისში ძეგლი—პირველ ყოვლისა იგი **ილიას და აკაკის**—ამ ორ დიდ ქართველს, **ილიას და აკაკის** დაცილება არ შეიძლება, მთაწმინდამ ისინი ორივე გულში ჩაიკრა, ორივენი ერთად არიან საქართველოს ისტორიულ სიწმინდის მწვერვალზე, ორივე ერთად დასცქერიან საქართველოს, და ძეგლებიც მათ ერთად ჰქონდეთ აღმართული!..

მე-19 საუკუნის თუ რომელიმე მოღვაწის სიცოცხლის და სიკვდილის შესახებ ჩვენ ვიტყვით une belle vie et un bel mozt, ის უყოყმანოდ მიეკუთვნება ი. ჭავჭავაძის სიცოცხლეს და სიკვდილს.

ილიას გამძლე აზროვნება მრავალ ფეროვანი იყო. **სოციალი აზრები** ლიტერატურაში პირველად საქართველოში ილიამ ჩამოაყალიბა. ქართულ ენას უძლიერესი ანატომიური ოპერაცია **ილიამ** უყო, მან გაამშვენიერა—გადაახალისა იგი. **ილია** 801 წ. შემდგომ დასადგურებულ უიმედობის, პოლიტიკურრომანტიზმის და პოლიტიკურ პანაშვიდების წესის ამგებია. „მისი დევიზია“ **„ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდეს“**

ირ—დი

*) საშუალებას ვაძლევთ გამოთქვას თავისი აზრი. **რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათს, აპრილის 5-ს საქ. მემარც სოც.-ფედ. პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1

შესდგება ტფილისის პარტიულ ორგანიზაციების წევრთა და თანამგრძნობთა

# საერთო კრება
# არჩილ ჯორჯაძის

გარდაცვალებიდან 10 წლის თავის აღსანიშნავად. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

— **უქმი დღეები.** პროფკავშირი შუამდგომლობს შრომის კომისარიატის წინაშე, რათა უქმე დღეებათ გამოცხადებულ იქმნას 8 და 9 აპრილი. მხოლოდ 7 აპრილს მუშა-მოსამსახურეთა განთავისუფლებულ იქმნან ნაშუადღევის 12 საათზე. თეატრები, კინო და სხვა გასართობები არ იმუშავებენ 7 და 8 აპრილს. მხოლოდ 9 აპრილს მათ დართეს მუშაობის ნება.

— **ახალი ჟურნალი.** პრეზიდიუმმა დაადგინა მისცეს თანხა კულტგანყოფილებას, რათა მან გამოსცეს ორკვირეული ჟურნალი რუსულ ენაზე.

— **კლუბების შემცირება.** ვინაიდან ბოლო ხანს ნამეტნავად გახშირდა კლუბების გახსნა, ამიტომ კავშირმა დაადგინა აკრძალონ ამიერიდან მუშათა კლუბების გახსნა. მხოლოდ უკვე არსებულ კლუბებში კი გააძლიერონ მუშაობა.

— **მუშებისათვის დასასვენებელი სახლები და საკურორტო აგარაკები.** დადგენილია დაარსდეს მუშებისათვის დასასვენებელ სახლების და საკურორტო აგარაკების ფონდი. ამისათვის გაწეული იქნება ფართო კამპანია მუშათა და სახელმწიფო ორგანიზაციებში.

— **კომუნალური განყოფილება და სამხედრო მოსამსახურენი.** კომუნალურმა განყოფილებამ დაადგინა სამხედრო დაწესებულებათ და მათ მოსამსახურეებს გადაახდევინონ ელექტრონის ენერგიის და წყლის ხარჯები საერთო წესით.

### ქალაქის აღმასკომში.

— **ქალაქის ბაღები.** ქ. ტფილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების კოლეგიამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ქალაქის ბაღები დაჰყონ კატეგორიებათ. ამისათვის არჩეულ იქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობის: თავმჯდომარე: ამხ. ვაწაძე და წევრებათ ბაღების ამწერი ერთი აგენტი და ინსპექციის წარმომადგენელი.

### საპარტიო

მეოთხე რაიკომი ამით აცხადებს 1 და 2 უბანში მცხოვრებ ამხანაგთა საყურადღებოდ, რომ აპრილის 3-სათვის დანიშნული ამხ. ს. ამაღლობელის მოხსენება გადადებულია აპრილის 5-სთვის.

რაიკომის მდივანი: **ხოფერია.**

ხუთშაბათს, მარტის 5-ს, საღ. 7 საათზე, ცენტრალურ ბიუროში დანიშნულია ტფილისის ორგანიზაციის წევრთა და თანამგრძნობთა საერთო კრება **არჩილ ჯორჯაძის** გარდაცვალებიდან ათის წლის შესრულების აღსანიშნავად. ამხანაგებს ევალებათ თავის დროზე გამოცხადება.

**ტფილისის კომიტეტი.**

## მუშათა ცხოვრება.

### პროლეტარულ ხელოვნების ინსტიტუტი.

საქართველოს პროფკავშირების პრეზიდიუმის ბოლო სხდომაზე ამხ. იგნატიევმა შეიტანა ვრცელი პროექტი, სადაც ამტკიცებდა პროლეტარულ ხელოვნების ინსტიტუტის დაარსების საჭიროებას. „პროლეტარულ ხელოვნების ინსტიტუტი“ ამტკიცებდა მომხსენებელი „მოამზადებს მომავალში პროლეტარულ ხელოვნების წითელ სპეცებს, რომელნიც გავლენ ფართო მასსაში და გაავრცელებენ პროლეტარულ ხელოვნებას. ინსტიტუტი იარსებებს თავის ხარჯზე, ესე იგი, პროლეტარული სტუდენტები შეიტანენ აუცილებელივ სამოსწავლო ფულს. მხოლოდ პირველ შემთხვევაში განათლების კომისარიატმა უნდა გაიღოს საჭირო თანხა. პროლეტარული სტუდენტები უნდა იყვნენ მუშები სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან და დაწესებულებიდგან. იგინი უნდა განთავისუფლდნენ ყოველნაირ მუშაობისაგან ჯამაგირის შენახვით. თვით პროფკავშირიდან ვითხოვთ პრინციპიალურ თანხმობას, ორგანიზაციულ დახმარებას და მუშების გამოგზავნას, რათა უკანასკნელნი ჩაირიცხონ ინსტიტუტში „მსმენელებათ“.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ამხ. იგნატიევის პროექტმა. ამხ. კანდელაკი მხარს უჭერს იგნატიევის პროექტს.

„ტფილისში არსებობს ორი კონსერვატორია და ერთი სამხატვრო აკადემია, მაგრამ საზოგადოსასარგებლო საქმე იქ არა კეთდება რა!“ ამიტომ მოითხოვს კანდელაკი პროექტის მიღებას.

წინააღმდეგ წავიდნენ პრეზიდიუმის წევრნი ამხ. ნუცუბიძე და ყურულაშვილი, რომლებმაც უფრო რეალურად შეხედეს საკითხს, ინსტიტუტის დასაარსებლად საჭიროა მასწავლებელთ-სპეციალისტების შტატი, რომელნიც ჩვენ სულ არ გაგვაჩნია და თუ გავხსენით ინსტიტუტი იძულებულნი ვიქნებით მოვიწვიოთ იგივე ბურჟუა-სპეცები და ეს ჩვენ მიზანს კი ეწინააღმდეგება. თანაც ინსტიტუტს სჭირია აუარებელი თანხა შესანახავად. ფული კი არ არის. საერთოდ პროექტის ინიციატორებს კარგათ ვერ დაუმუშავებიათ პროექტი და სინამდვილეს ანგარიშს სრულიად არ უწევენ. პროლეტარულ ხელოვნების ინსტიტუტის დაარსება ეს სახუმარო საქმე არ არის და უნდა გადაიდოს მომავლისათვის. რაც შეეხება პროლეტარულ შემოქმედების იდეას ეს იდეა მისაღებია და უნდა გატარდეს მუშათა რაიონულ კლუბებში, სახალხო სახლებში და სხ. პროლეტარულ შემოქმედების იდეის გატარება ცხოვრებაში უნდა დაწყებულ იქმნას ძირიდან და არა მაღლიდან ინსტიტუტებიდან, რესპუბლიკა ინახავს სამხატვრო შემოქმედების სასწავლებლებს: კონსერვატორიებს, სამხატვრო აკადემიებს და სხ. სხ. ვეცადოთ იქ გავაუმჯობესოთ სწავლა-მეცადინეობის ორგანიზაცია და მივცეთ უფრო ფართო ხასიათი.

ასეთი იყო დაახლოვებით ყურულაშვილის და ნუცუბიძის მოტივები.

პრეზიდიუმმა დაადგინა: 1) იცნოს ამხ. იგნატიევის პროექტი ნაადრევათ და მის შუამდგომლობას უარი ეთქვას, 2) გამოცხადებულ იქმნას მობილიზაცია პროლეტარულ ხელოვნების ყველა მუშაკების და დაავალონ მათ შეძლებისდაგვარათ აწარმოვონ მუშათა მასსებში მუშაობა საღამოების, ლექციების, გამოცემების, წარმოდგენების და სხვათა საშუალებით, 3) ყოველნაირი საშუალება იხმარონ, რათა სისტემატიურად გამოსცენ პროლეტარულ მწერალ-პოეტების ნაწარმოებნი და სხ. სხ.

**როსტომ.**

## მეტი ყურადღება

(განათლების მუშაკთა კავშირის და შრომის უწყების საყურადღებოდ).

მუშა-მოსამსახურეთა ნივთიერ გაჭირვებაზე ჩივილი უკვე მოძველებული თემაა, მაგრამ მიუხედავად სიძველისა იგი თავის სიმწვავეს და საჭირბოროტო ხასიათს მაინც დღემდე არ ჰკარგავს, თუ მთელი მუშათა კლასისთვის არა, ზოგიერთი დარგის მშრომელთათვის მაინც, განსაკუთრებით კი მასწავლებლობისათვის.

ჩვენი განახლებული სკოლის ამ ჩუმ და ბევრისთვის უჩინარ მოღვაწეთა ქონებრივ უმწეობაზე და გაჭირვებულ ყოფის როგორმე გაუმჯობესების საჭიროების შესახებ ამ უკანასკნელ ხანებში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა გაზეთებში, განსაკუთრებით გულხმიერებას ამ მხრივ იჩენდა „მუშა“; იყო კიდეც დაპირებანი, მაგრამ დაპირება დაპირებათ დარჩა და მასწავლებლის მდგომარეობა, თუ არ გაუარესდა, სრულიადაც არ გაუმჯობესებულა.

მივმართოთ სინამდვილეს, ყოველ-დღიურ სიცხადეს, რომელიც თავისი სიშიშვლით ყველა გულისხმიერ პროფესიონალ და მით უფრო სახელმწიფო მოღვაწის ყურადღებას ძალა-უნებურად უნდა იქცევდეს.

მართლაც მოემატათ.. თებერვალში 19 პროც. იანვრის ჯამაგირისა, როცა კონფერენცია წარმოებდა, ხოლო მარტში... (არ კი გაგეცინოთ!) 5 პროც. თებერვლის ჯამაგირისა, ე. ი. ციფრებით რომ ვილაპარაკოთ შემდეგი სურათი იხატება: მასწავლებელი ჰუმანიურ ტეხნიკუმისა, უმაღლეს სწავლა მიღებული, 36 წლის სტაჟით, რომელსაკ აქვს ნორმალური რიცხვი გაკვეთილებისა და კლასის დამრიგებლობა, იანვარში იღებდა 14.350 ათ. მანეთს (**აქვე შედის წერით ვარჯიშობის გასწორების ჯილდოც!**), თებერვალში 17.086 ათას მანეთს, ხოლო მარტის ჯამაგირს აპრილში (ჯერ არ დაურიგებიათ!) მიიღებს ახალი 5 პროცენტიანი დამატებით **17,721** ათასს.

უფრო „სანუგეშო“ სურათს გვიხატავს ტეხნიკუმის იმ მასწავლებელთა მდგომარეობა, რომელთაც წერით ვარჯიშობა არა აქვთ და არც საამისო ჯილდოს იღებენ, მაგალითად ავილოთ ისტორიკოსი, იმავე უმაღლესი განათლებით, 15 წლის სტაჟით, რომელსაც ნორმაზე მეტი გაკვეთილებიც კი აქვს (15-ის ნაცვლად 17) და კლასის დამრიგებლობაც დაკისრებული; ასეთი მასწავლებელი იღებდა:

| | | |
|---|---|---|
| იანვარში | 9.560 | ათასი მან. |
| თებერვალში | 11.369 | ათასი მან. |
| მარტში | 11.963 | ათასი მან. |

ეხლა შეადარეთ, როგორი ფასები იყო ამ დროის განმავლობაში პირველ საჭიროების საგნებზე და აშკარად დაინახავთ, რამდენად შესაფერისად მოემატა მასწავლებლობას ჯამაგირი და eo ipso რამდენად შესაბამად **გაუმჯობესდა** (!) მისი ნივთიერი მდგომარეობა. სტატისტიკური ცხრილებით რომ არ ავაჭრელოთ გაზეთის ფურცლები, დავკმაყოფილდეთ ორიოდე სანოვაგის აღნუსხვით, აი თუნდ პურის, ხორცის და შაქრის ფხვნილისა. პური იანვარში ფასობდა გირვანქა 12 ათასი მან. მარტში 20 ათ. ე, ი. 90 პროც. გაძვირდა; ხორცი იანვარში ღირდა 30 ათ. მანეთი, ეხლა—120 მან. ანუ 300 პროც. მეტი; შაქრის ფხვნილი იანვარში იყიდებოდა გირვანქა 65 ათ. მან., მარტში ერთი სამად ფასობს, ე. ი. 200 პროც. გაძვირდა.

ეხლა საინტერესოა ტეხნიკუმების დაბალ მოსამსახურეთა ჯამაგირების სურათი. იანვარში დარაჯი იღებდა 2.940 ათ. მანეთს, მარტში ახალი დამატებით მიიღებს 3.675 ათას მანეთს. რა თქმა უნდა, ცხოვრება მეტად არ გაძვირებულა და ეს ჯამაგირი მისი მოთხოვნილების მინიმუმს უეჭველად დააკმაყოფილებს! ალბად ისე ფიქრობენ პროფესიონალურ ინტერესის ქომაგნი განათლების მუშაკთა კავშირში, როცა 5 პროც. უმატებენ.

დაბოლოს ორა სიტყვა: რუსთველის პროსპექტზე ლამაზ კაბინეთებში განწყობილ შრომის ინსპექტორებს ვთხოვთ ერთხელ მაინც აღირსონ თავის მეთვალყურე თვალი სკოლას და მის ერთგულს მუშას და, თუ შეუძლიანთ რამე, აიმაღლონ ხმა სიმართლის დასაცავად, ხოლო მის მეზობლად მუშათა სასახლეში მოკალათებულს „კავშირს განათლების მუშაკებისას“. ბეჯითად ვთხოვთ: თუ ჩვენს ინტერესებს ვერ იცავს, ნურც ასე მცირედი მომატებით გვასაჩუქრებს.

მასწავლებლობა მეტი ყურადღების ღირსია!

**B.**

## ღამე ტფილისში

მზე დასავლეთით გადახრილი მიწის ლურჯ ბაღებს
ყვითელ ხალიჩებს აფარებდა ოქროს ხელიბით...
და დაიქანცა. გზა დაუთმო ზღაპრულ ყაჩაღებს.
მოვიდა ღამე დაბურული შავი კვამლებით.

ხმაურობს ქუჩა: დაქანცული გადარეული.
და ღამის ბინდი ეფარება ტროტუარს მტვრიანს.
მიბორგავს მტკვარი და მეტეხი სდარაჯობს ღამეს.
მთაწმინდა შურით გადმოყურებს ქალაქს ნისლიანს.

ამოდის მთვარე—გაყინული მიწის დობილი.
ო, მე მაშინებს მისი უშნო შავი ხალები...
მთვარის შეხედვას მოსდევს ჩემი სულის კივილი.
მე დღეს ვგრძნობ მიწის უბედობას და ვიმალები

მთვარეს აშინებს ელექტრონის ლამპის ციალი.
და დღის სიგიჟე მიწყნარდება ყველა ქუჩებში.
არის დუმილი და ამ დუმილს დაარღვევს მთვრალი,
ან და ყრუ კოცნა ახეული ფერმკრთალ ტუჩებში.

ქუჩაში მძინარს, ჯან გაწყვეტილს ამოდებს ბებერს
ცისფერ სიზმრებით გადაფრენილს თავის წარსულში:
ახალ კაბისთვის რომ კოცნიდა მამის გრძელ წვერებს;
როცა ვარდები უცინოდენ ყმაწვილურ გულში.

წყნარდება ღელვა და ქალაქის ხმაური, შფოთი.
იძინებს ყველა დღის სიზმრებით დაბრუებული.
დავით კობიძე ღამეს ათევს ქუჩის ბოლოში,
დავით კობიძე ღამეების შეყვარებული.

**დ. კობიძე.**

## ბალეტის ბენეფისი.

სახელმწიფო საოპერო თეატრში, პირველათ ტფილისში, დაიდგა—მთლიანი საპრემიერო ბალეტი ჩაიკოვსკისა „გედის ტბა“—(„Лебединое озеро“). ეს დიდი დამსახურებაა ოპერის ბალეტმეისტერის ბ. მოისეევის, რომელმაც შესძლო, გასულ სეზონთან შედარებით, ძალების სიმცირის მიუხედავათ, დაედგა ჩაიკოვსკის კლასიკური ბალეტი—ისიც ესეთი ცოხდენილად და მზრუნველობით. ეს ბალეტი ჩაიკოვსკის დაწერილი აქვს 1876 წელში, თავის შემოქმედების ჯერ კიდევ სიჭაბუკის ხანაში, მოსკოვის დიდი თეატრის შეკვეთით, ისედაც, ჩაიკოვსკი, ერთად-ერთია რუსეთის გამოჩენილ კომპოზიტორთა შორის, რომელიც თავის ძალასა და შემოქმედებით სულს არ იშურავდა ბალეტისათვის. „გედის ტბა“-ში პირველ რიგზე სდგას საცეკვაო ნომრები, მხოლოდ შემდეგ მიდის მიმიკა, ვინაიდან ბალეტის შინაარსი პოეტურ ფანტას ეკუთვნის. თუმცა ანკირა საძებარია ბალეტში შინაარსი, როდესაც ის სრულებით ინტუიტიური ხელოვნება არაა და მასში მხოლოდ გარეგნული სილამაზე უნდა ცხადდებოდეს. ამ ბალეტშიც ბევრი სილამაზეა, მელოდიები და ხშირად სიმფონიური მუსიკა ატკბობს სმენას, რაც ერთად, „გედის ტბას“ ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებათ არჩევს ხელოვნების ამ დარგში და თავიდან ბოლომდისაც გაღვივებული ინტერესით საჭვრეტი ხდება.

„გედის ტბის“ საცეკვაო ნომრები გამოსარჩევია შესანიშნავი გრაციოზობით, მელოდიების სიუხვით, რომელსაც თან ახლავს ორკესტროვკის ნაირობა. აი მოკლეთ ბალეტის შინაარსიც: პრინც ზიგფრიდს შეუყვარდება ახალგაზრდა ქალი ოდეტტა და მოინდომებს ცოლათ შეირთოს. პრინცესსა—დედა დალოცავს მათ მეგობრობას, მაგრამ ავი სულის წყალობით, ზიგფრიდი უღალატებს თავის პირველ სიყვარულს და უნებურათ შეუყვარდება ავი სულის ქალწული. მიტოვებული და სევდით განაწამები ოდეტტა გადაიქცევა გედათ, ხოლო ყოველ ღამით ისევ ქალის სხეულს ისხამს და თავის დაკარგულ სატრფოზე ეძლევა გულ მოსაკლავ ვარამს. პრინცი-ზიგფრიდი გაიგებს თავის შეცდომას და მიხვდება, თუ როგორ დაღუპა თავისი საყვარელი არსება და თავს იხრჩობს ტბაში სადაც სცხოვრობს კიდეც—გედი ოდეტტა. სულ ეს არის.

დადგმის დასახასიათებლათ ერთი წინდაწინვე უნდა განვაცხადო: ქალთა პერსონალი განუზომელათ მაღლა სდგას მამაკაცებისაზედ. გედების კოროლევას ასრულებდა (ოდეტტა იგივე ადილლია) პრიმა ბალერინა ქ-ნი სალნიკოვა. არტისტკა მე მომწონს ძლიერ, მას კეთილშობილი გარეგანობა აქვს, ლამაზია, პლასტიური და მუსიკალურ რიტმსაც უნაკლოთ იცავს. საზოგადოთ მოცეკვავე ქალი, ეტყობა კარგი სკოლიდანაა. ბ-ნი მოისეევი, სუსტი მოცეკვავეა, მას აკლია მოხდენილობა და სიმჩატე, პლასტიკაც პრიმიტიულია; რიტმი ბ. მოისეევისათვის თითქოს არ არსებობს, მაგალითად, მისმა სოლომ ფრიად საშუალო შთაბეჭდილება დასტოვა. (განსაკუთრებით ისეთი მოცეკვავეების შემდეგ, როგორიც იყო ფოკინი და მორდკინი, სუსტათა აქვს განვითარებული აგრეთვე მიმიკაც. ერთი კიდევ უნდა შევნიშნო ბ. მოისეევს: მან არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ სცენაზეა და მუდამ თავის როლის ჩარჩოებში იქნეს მოქცეული (მაგ. მოცეკვავეებს შენიშვნა გაუკეთო სცენაზე—შესრულების დროს, ისიც პირველ რიგში და სხვა ამგვარი). მაგრამ ამასთანავე არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ სუსტი მოცეკვავე ბ. მოისეევი, მშვენიერი ბალეტმეისტერია. საუცხოოთ იყო დადგმული, როგორც ცალკე, ისე ჯგუფური ნომრები ბალეტისა. დანარჩენ მოცეკვავეთაგან გამოსარჩევია ბ-ნი სიკირჟინსკი, რომელიც მოხდენილი პლასტიურობით ასრულებდა თამაშს, მასაც ეტყობა კარგი სკოლა.

ბ. ბარხუდაროვი (კომიკური როლები) ერთფეროვანია და მიმიკაც სუსტათ აქვს განვითარებული. კარგათ ცეკვავს ბ. სერგეევი (ავი სული) და გრიმიც კარგი ჰქონდა გაკეთებული. ლიტვინენკოცეტა იმედებს იძლევა მომავალი კარგი მოცეკვავისა; ისიც მოუხეშავია. და ალბათ მუსიკალურ სმენას მოკლებული. ლიტვინოვი მომწონს ვალტერის როლში. ცალკე საცეკვაო ნომრებიდან ძალიან კარგია trio—ქნარის, ვიოლონჩელის და ვიოლინოს აკომპანიმენტით. გარგად ასრულებენ pas de deux და ცეკვას ჩირაღდნებით. ქალთა პერსონალიდან აღსანიშნავია ნ-ნ ლეონოვას (prima) კოზინეც-რატუშენკო და კაზლოვას. საერთო დადგმა უსათუოდ კარგი იყო, განსაკუთრებით სინათლის ეფექტები—(გედის ტბაში). ორკესტრი ბ. ბრონის დირიჟორობით ვერ იდგა თავის დანიშნულების სიმაღლეზედ. ეს სამწუხაროა. ამ ბალეტის საგანგებო მუსიკა მოითხოვს მეტად ფრთხილ და გახვეწილ შესრულებას.

**პ. მემფოთი.**

## მეცნიერება და ტეხნიკა

### რუსეთის ფიზიკოსების მუშაობა უკანასკნელ წლებში.

1918 წლიდან რუსეთში იქმნებოდა მთელი რიგი ინსტიტუტებისა, რომლებიც ფიზიკის სხვა და სხვა დარგებს შეისწავლიდენ მას პრაქტიკულ გამოყენებისათვის პეტროგრადში გახსნილ იქმნა ოპტიკური, ფიზიკო ტეხნიკურ, რენდგენოლოგიური ინსტიტუტები; მოსკოვში—ბიოლოგიური ფიზიკის, ფიზიკო ტეხნიკური, ფიზიკის, კრისტალოგრაფიის და სხ. ინსტიტუტები. რუსეთში მუშავდება ფიზიკის ყველა დარგი და არსებულ ძირითად მიმართულებებს აქ საკუთარი წარმომადგენლები ყავს. ამორფულ მაგარ სხეულების თვისებებს სწავლობენ ტომსკში, სადაც მას იკვლევს ბ. ვეინბერგი თანამშრომლებით და ინჟ. ტრაპეზნიკოვი.

აკუსტიკა მუშავდება მოსკოვში ანდრეევის, შირსკის და სხ. მიერ, რომლებიც იკვლევენ ხმის მოვლენებს ღია სივრცეში, კერძოთ,—ატმოსფერულ პირობების გავლენას ხმის გავრცელებაზე.

მატერიის კინეტიურ თეორიისაც თავის წარმომადგენლები ყავს. ამ მხრივ აღსანიშნავია ღრმა თეორიული გამოკვლევა ს. ბოგუსლავსკისა, გაზების ხუვის გამოკვლევა ტიმირიაზევისა, კ. შაპოშნიკოვის შრომა და მატემატიკური გამოკვლევანი ე. კორტიცინისა.

ნივთიერების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს შორის არსებულ კავშირის კითხვებს და აგრეთვე მის თერმოდინამიურ შესწავლას აწარმოებს ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინსკი. პრაქტიკული თერმოდინამიკის საკითხებზე ვ. მიხელსონი მუშაობს.

გამოკვლევანი სინათლის გარშემო უმთავრესად სხეულების ოპტიკურ თვისებასა და ატომებსა და მოლეკულებს შორის არსებულ კავშირის საკითხების ირგვლივაა.

ფოსფორესენციის საკითხებს სწავლობს ა. პოსპელოვი (დონის როსტოვი); ფოტოელექტრიული ეფექტის საკითხებს კი—გოლდგმანი (კიევი) და ლეონტიევი (სარატოვი).

მრავალი პირი მუშაობს ფიზიკის და ელექტრო-ტეხნიკის გარშემო; ამ მხრივ აღსანიშნავია როჟანსკის შრომა; პეტროვსკი და შულეიკინი მუშაობენ უმავთულო ტელეგრაფის გარშემო. ამავე მიმართულებით სწარმოებს მუშაობა ნიჟე-გოროდის რადიო-ლაბორატორიაში.

## ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

### ჩვენი კინომატოგრაფია.

(„მოძღვარი"-ს დადგმის გამო).

მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ორიოდე სიტყვა ვსთქვა კინო ხელოვნებაზე ჩვენში. ვამბობ: ვისარგებლო შემთხვევით, იმიტომ, რომ ამის შესახებ ჩვენში სრული სიჩუმეა. შეიძლება ეს აიხსნებოდეს იმ გარემოებით, რომ ჩვენ ჯერხანობით არა გვყავს ამ დარგის საკმაო ცოდნით შეიარაღებული ხელოვანი.

გასულ წელს „ტრიბუნის" ერთ-ერთ ნომერში მოკლეთ იყო აღნიშნული კინოს ფენომენალური მოვლენა მსოფლიო მაშტაბით, მისი დიდი მნიშვნელობა და სარგებლობა და აგრეთვე ჩვენში მისი პერსპექტივები. შემდეგ; ამა წლის „მსახიობის დღე"-ში ვ. გ. ბარსკი ათავსებდა ერთ წერილს კინომატოგრაფიის შესახებ. თითქმის ამის მეტი არაფერი თქმულა, თუმცაღა გაკეთებით ბევრი გაკეთდა ამ დარგში.

ყველა განათლებულ ქვეყნებში კინომატოგრაფიას დიდი ყურადღება ექცევა. ევროპაში (განსაკუთრებით გერმანიაში) ლექციების კითხვაც კი დაიწყეს კინომატოგრაფიაზე უნივერსიტეტში. ეწყობა კინომატოგრაფიის მსოფლიო გამოფენა. დიდი ნიჭიერნი და ტალანტის პატრონი ხელოვანნი გატაცებით მუშაობენ კინომატოგრაფიაზე. შეიძლება კინო დარჩეს თეატრალური ხელოვნების ყველა დარგის სინტეზი. მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებები თავისი მრავალი სახეებით (დრამებათ, პოემებათ, რომანებათ) ჩვენ ვიხილეთ. გვინდა ახალი სახით მათი ნახვა. გერმანიაში ფაუსტს, ყაჩაღებს და ჰამლეტს ლენტებზე იღებენ. ეს გმირები, რა თქმა უნდა, ვერ დაეტეოდენ თეატრის ოთხ კედელში... უსაზღვროებას მხოლოდ ფანტაზია საზღვრავს; ფანტაზიას კი იჭერს და აქანდაკებს კინო.

საერთო მიღებული აზრია თეატრის კონსერვატორობა. კინო აცდენილია ამ ნაკლს. ის პარალელურად მისდევს ცხოვრებას, რომელიც დღეს კლდიდან მოწყვეტილ ნაკადის მზგავსია; ცვალებადია, როგორც წელიწადის ოთხი დრო; ახალ-ახალი სურათები ჩნდებიან მის ჰორიზონტზე; ცხოვრება არ ინდობს რაც ძველია და თანამედროვებასთან შეუდარებელი.

მეფეები და მინისტრები სეზონივით იცვლებიან. ოცდაოთხ საათის განმავლობაში ნადგურდება ვეებერთელა სახელმწიფო აპარატი და მონარქიას რესპუბლიკა სცვლის. საუკუნეების მიერ კაბინეტებში დაწერილ კანონების სქელ ტომიან წიგნებს ყირამალას უშვრება და დავიწყებას აძლევს ქუჩაში გამოცემული, ქაღალდის ნაფლეთზე ფანქრით დაწერილი დეკრეტი. შეიქმნა ახალი ქვეყანა... ადამიანი მანქანაა. არ გვინდა სიტყვა. მარმარილოს ქანდაკება მეტს გვეტყვის, ვიდრე ერთი დღის მონოლოგი. მოგვწყინდა ტრიბუნა, მყვირალა ფრაზები, ორატორის მჭუხარე და მუშტიანი სიტყვები. ტილოზე სხვა და სხვა ფერებით მოხაზული ხაზები მთელ ისტორიას გაგვაცნობენ.

საფრანგეთის სახელოვანი მსახიობი და შესანიშნავი მიმიკი დელსარტი ამბობს: „ჟესტი სულია, სიტყვა კი ხმა", ე. ი. ადამიანის სულიერ ქვეყანას უფრო ააშკარავებს მისი სხეულის მოძრაობაა, ვიდრე სიტყვები. დრამის მსახიობს, თუ გინდ ის არ იყოს მაინცა და მაინც კარგი მიმიკის და სხეულის მოძრაობის (სემიოტიკა, სტატიკა, დინამიკა) პატრონი, მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე კინო მსახიობს, განცდა ცხოველ ჰყოს, რადგანაც პირველს სიტყვები აქვს და მეორე კი მოკლებულია ამას... და სწორედ მთელი სიძნელე კინო მსახიობისა ამაშია. მისმა სახემ და სხეულის მოძრაობამ ნათლად უნდა გვიჩვენოს ადამიანის რთული სულიერი ქვეყანა.

კინომატოგრაფიის განვითარების უკანასკნელ პირიოდებში შემოღებულია ამერიკული პლანი, ე. ი. მთელი კადრი (მთელი ფარდა) აჩვენებს გადიდებული სახით გმირის სხეულის რომელიმე ერთ ნაწილს, უმეტეს შემთხვევაში პირისახეს. აქ რაც უბრალო თვალით შეუმჩნეველია ყველასათვის ნათლად ხილული ხდება. ამ გვარად, კინო მსახიობს უფრო სჭირია მიმიკის სიმდიდრე, სხეულის მიზანშეწონილი პლასტიურობა და ტემპერამენტის სიცხოვლე, ვიდრე დრამის მსახიობს. ყველა ამის გამო პირველის მისსია უფრო რთული და ძნელია, ვიდრე მეორესი.

კინოს დიდი კავშირი აქვს ბუნებასთან. არამც თუ აქვს, პირიქით, იმით სულდგმულობს და ცხადია კინოც იქ გაიმარჯვებს და განვითარდება სადაც ბუნება მშვენიერია. თუ რამდენად მშობლიური მხარეა კინომატოგრაფიისათვის საქართველო, ამას დაგვიმტკიცებს ბარსკის მართალი სიტყვები („მსახიობის დღე" № 3). ის აღნიშნავს, რომ იშვიათია ისეთი ქვეყანა, რომელსაც შეეძლოს მეტოქეობა გაუწიოს საქართველოს ბუნების სიმშვენიერეში, რასაც თხოულობს ეკრანი. კლიმატიური, ეტნოგრაფიული, გეოგრაფიული და სხვა გვარი მრავალ სახეებით პატარა საქართველო დიდ კონტინენტს შეედრება.

როგორც სჩანს საჯგანკომის კინო-სექცია ყველა ამას კარგად ხედავს, გრძნობს სამშობლოს მტკიცე და ნოყიერ ნიადაგს და ამიტომაც გაბედულად მოქმედობს. ის რაც გააკეთა ჩვენმა კინოსექციამ და რის გაკეთებაც მიზნად დაუსახავს უწინარეს ყოვლისა გასაკვირველია, და შემდეგ კი ფრიად მოსაწონი, დასაფასებელი და შესაქები. თითქმის ყოველგვარი სურათები დადგა, ეხლა მგონი ტრიუკების დადგმაც განუზრახავს. მართალია ტრიუკები ჩამოდიან ეკრანიდან (ეს ასეც უნდა მოხდეს) და მათ ადგილს ფსიხოლოგიური და სოციალური დრამები იჭერენ, მაგრამ ამ შემთხვევაში გასამართლებელია და მისაღებიც, თურმე ჩვენ რომ გვქონდეს ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის აპარატები, ამასთან პროფესიონალური კინო მსახიობები და აგრეთვე საკმაო თანხა, სენსაციას მოვახდენდით მსოფლიოში... მაგრამ იმედია გიგანტიური ნაბიჯებით მივდივართ წინ, ყველაფერს შევქნით და ყველაფერი გვექნება.

ახლა კი შევეხოთ სურათს.

„განდევნილი" კინო დრამა 5 მოქმედებათ და პროლოგით. სცენარი შედგენილია ა. ყაზბეგის „მოძღვარი"-ს ზე-გავლენით. დადგმულია კინოსექციის მთავარი რეჟისორის ბარსკის მიერ.

სჩანს რეჟისორს საკმაოდ კარგად შესწავლული აქვს საქართველო. გასაკვირია, თუ როგორ შესძლო რეჟისორმა ეხლანდელი აქაური ტეხნიკით და არა კინო აქტიორების მონაწილეობით ასეთი გრანდიოზული სურათის გათამაშება და ისიც ასე კარგად, უნაკლოდ.

მაგრამ უაღრესმა სიყვარულმა კინო ხელოვნებისადმი მას დაავიწყა მოსალოდნელი სიძნელე, რომელიც სძლია მისმა დაუცხრომელმა ენერგიამ. ბარსკის სახელი დიდი ასოებით იქნება მოხსენებული სხვა სახელებთან ერთად ქართული კინოხელოვნების ისტორიის პირველ ფურცლებზე და ეს იმიტომ, რომ ის არის ერთი იმ პირველებთაგანი, რომლებიდანაც იწყება ქართული ეკრანი და კიდევ თუ გინდ იმიტომაც, რომ პირველი ის მისცემს საქართველოს თავის სტუდიიდან პირველ ქართველ კინო-აქტიორებს.

ა. ყაზბეგის რომანი გაშლილია 5 მოქმედებაში და პროლოგში. შინაარსის გადმოსაცემად და გასაგებად დიდი მნიშვნელობა აქვს სცენარის შედგენას. ამ მხრივ „განდევნილი"-ს სცენარი უფრო უკეთესად შედგენილია ვიდრე „სურამის ციხე"-ს, თუმცაღა პირველის მოცულობა უფრო ვრცელია, ვიდრე მეორესი. „მოძღვარს" სახელი გამოცვლილი აქვს „განდევნილი" რაც უფრო უკეთესია.

უმთავრესი გმირი ონოფრე უფრო აქტიურ რევოლიუციონერად არის გამოყვანილი, ვიდრე რომანში. ეს დღევანდელი მოსაზრებით მისაღებია, მაგრამ ამავე დროს ისტორიული ფაქტის დამახინჯებაა. მე მგონია უკეთესია კლასიკური მწერლების ნაწარმოებები თავისი სახით დაიდგას; რევოლიუციონურ სურათებისათვის რად გვჭირია წარსულში ფაბულების ძებნა? განა ცოტა შემთხვევები და გმირებია ამისათვის აწმყოში?

რეჟისორის მარჯვენა ხელი ოპერატორია. სურათს ეტყობა ოპერატორის მადლიანი ხელი და თავისი საქმის კარგი ცოდნა. რეჟისორს საქართველოს ბუნების მრავალი მშვენიერი ადგილი თაიგულად შეუკრავს. კარგად გადმოცემულია კავკასიის ბუნების მკაცრი მოვლენები. ყველაზე უფრო შესანიშნავია ელვა. მე მინახავს ევროპის და ამერიკის სურათებში ელვა, მაგრამ ასეთი ნამდვილი სახით კი არა. თქვენ ხედავთ ცა ოქროს ტეხილი ხაზებით იხზარება მაყურებელ საზოგადოებაში ხშირად გესმით: ო, რა საუცხოვოა!.. და მართლადაც ძალიან საუცხოვო და მხატვრულია.

სურათი ევროპიულ ახალ სტილზეა გათამაშებული. ხშირი ამერიკული პლანები და დიაფრაგმები სურათი მეტად აცხოველებს და ამშვენიერებს.

ჩვენ ზემოთ ვსთქვით დელსარტზე, რომლის სისტემა თანდათანობით ვრცელდება კინომატოგრაფიაში. რეჟისორს ეტყობა, რომ დელსარტის მიმდევარია.

უმთავრეს როლს ასრულებს შალვა დადიანი. თუ შალვა დადიანი, კაცი საკმაოდ ხნიერი, თვით დრამისაც არა პირველი მსახიობი და რეჟისორი, კინომატოგრაფიის არა მცოდნე ხელოვანი, ისე კარგად, საუცხოვოდ და უნაკლოდ გაითამაშებდა ასეთ დიდ და პასუხისმგებელ როლს, განასახიერებდა ისეთ კოლოსალურ და უნივერსალურ ტიპს, როგორიც არის მოძღვარი, არავის არ შეეძლო ეოცნება... და რა ვნახეთ... შალვა დადიანის ონოფრე წინ უსწრობს თვით ავტორის მიერ წარმოდგენილ ონოფრეს. საუცხოვო ფიგურა, ოლიმპიური სიმშვიდე, მისტიური სიდარბაისლე, ჰარმონიული პლასტიურობა და მსახიობის ყოველგვარი მოთხოვნილების უაღრესად დაკმაყოფილება. ყველა ეს განასახიერა შალვა დადიანმა, ამით მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი ნიჭი. სხვა არაფერს ვიტყვი დადიანზე. თითონ ის ამბობს თავისი „ონოფრე"-თ ყველაფერს.

მაყვალას თამაშობს ახალგაზრდა კინო მსახიობი ქალი ალიბეგი, ის პირველად გამოდის ეკრანზე. რეჟისორს და თვით მსახიობსაც იმედი ჰქონებიათ, რომ შესძლებდა ამ გმირის დაძლევას და არც ერთი არ შემცდარა. ალიბეგი დელსარტის შკოლის მოწაფეა. საუცხოვო სახე აქვს, მდიდარი მიმიკა და ცხოველი ტემპერამენტი. ყველა სცენები უნაკლოა თითქმის, მაგრამ ყველაზე უფრო კარგად გაითამაშა სცენა, როცა სოფელი მას გაკიცხავს. ეს სცენა უაღრესად ტრაგიკულია და ამ უსაზღვრო ტრაგედიას მან რკალი შემოავლო, მოათავსა თავის „მე"-ში, გააქანდაკა სხეულის სტატიკით და განასახიერა მდიდარი მიმიკით. ეს სცენა ათრთოლებს ნერვების სიმებს. დიდი მომავალი ექნება ახალგაზრდა მსახიობს; ამის თავდებია მისი „მაყვალა".

• დავითაშვილი ონისეს როლში შესადარი და კარგი არის. ის მთის შვილია და სიცოცხლით სავსე. დავითაშვილის სახელი შეფასებას არ თხოლობს.. მისთვის ბუნებრივობაა უნაკლო თამაში; დაჯილდოვებულია მსახიობის უზენაესა ნიჭით.

ასეთივე ითქმის იმედაშვილზე (გელა) მან გელას დიდებული ტიპი მოგვცა. გუნია (მაყვალას მამა) საუცხოვო არის, როგორც გამოცდილი მსახიობი, ყველა ტიპები იცის. საკმარისია მისთვის მოდელის მიცემა, რომ გმირს ჩასწვდეს, შეითვისოს და განასახიეროს ის. აქვე ემატება ლოთის და ამით ცოტათი კომიკური ელფერი, რასაც ის ყოველთვის შეუდარებლად ასრულებს.

ჩარსკი (ჯატია) გამოცდილი კინო მსახიობი ქალია და კარგადაც თამაშობს, საუცხოვო ფიგურაა ქართველი ქალის ტიპისა.

სხვა მსახიობებიც ძალიან დასაკმაყოფილებელად თამაშობენ. იქა აქ მასსიურ სცენებში მოსჩანან თვით რეჟისორის სტუდიის მოწაფეები, რომლების თამაში მომავალისთვის კარგ მსახიობების მოცემის გვპირდება.

სურათი მიდის ორკესტრით და ხოროთ რაც ძალიან უხდება და აცხოველებს სურათის შინაარს, რომლის ცალკე ეპიზოდებს თავისი სპეციფიური გიმნი აქვს.

„განდევნილი" უნდა მიეკუთნოს „ქართულ ოქროს სერიათა" სურათების რიცხვს.

**იხინ.**

---

**„კრეჩინსკის ქორწინება".** პარასკევს მარტის 30-ს ყოფილ ქართულ კლუბის თეატრში სოციალურ აღზრდის განყოფილებასთან არსებულმა დრამატიულმა წრემ გაუმართა ბენეფისი ახალგაზდა და ნიჭიერ მსახიობს ალექსანდრე თაყაიშვილს. წარმოადგინეს ტუგანოვის რეჟისორობით პოპულიარული კომედია „კრეჩინსკის ქორწინება". ეს პიესა არა ერთხელ დადგმულა რუსულ და ქართულ სცენებზე და მისი შინაარსი კარგად იცის ფართო საზოგადოებამ. აღნიშნულ საღამოს რასპლიუევის როლს ასრულებდა თვით ბენეფიციანტი ა. თაყაიშვილი. თაყაიშვილი ახალგაზდა მსახიობია. მისი ამპლუა- კომედიის რეზონიორი. მთავარი მისი მსახიობის დადებითი მხარენი: ბუნებრივობა, გარკვეული დიქცია, საუცხოვო ხმა, კომიზმი და სხვა.

რასპლიუევის როლიც შეასრულა მან დადებითად. მეორე მოქმედებაში ემჩნეოდა მღელვარება, მესამე მოქმედებაში კი შევიდა როლში და გადმოგვცა ნამდვილი ტიპი — ბედისაგან დაჩაგრულ რასპლიუევისა. თვით კრეჩინსკის როლს ასრულებდა დამსახურებული მსახიობი ტუგანოვი და სიმართლე უნდა ითქვას მთელი წარმოდგენის სიმძიმე თავის კისერზე გადიტანა. ტიპიური იყვნენ ახალგაზდა და ჩვენი თანამემულე მსახიობნი მესხეთელი, კორძელი და სხ.

დაბოლოს საზოგადოებამ და მსახიობებმა ოვაციები გაუმართეს ბენეფიციანტს.

თაყაიშვილს გადაწყვეტილი აქვს გადვიდეს ქართულ სცენაზე, რათა მთელი თავისი ნიჭი და ენერგია შესწიროს მშობლიურ ხელოვნებას. აკადემიურ დასის მართველობა [illegible] იმედი, თუ უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ ნიჭიერ ახალგაზდას, მით უმეტეს რომ ქართულ სცენას კომედიის მსახიობნი გარდა ერთი ან ორისა [illegible]

## [illegible]ნიკა.

**მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის ახალი შრომანი.** იაკობ ნიკოლაძემ დაასრულა ახალი ქანდაკება საშა წულუკიძისა. ახალი შრომა წარმოადგენს წულუკიძის ბიუსტს და ქვემოდ კი გამოხატულია ტანჯული მუშა. ქანდაკება დაიდგმება ქალ. ქუთაისში.

მოქანდაკე მუშაობს მწერლის ნინოშვილის ქანდაკებაზე. ძეგლი დაიდგმება ქალ. თფილისში, მაისში.

---

**ქართულ მკურნალობის ისტორია.** მცხოვანმა მწიგნობარმა ზაქარია ჭიჭინაძემ დაასრულა ახალი დიდი შრომა „ქართულ მკურნალობის ისტორია" რამოდენიმე ტომათ, შრომა შეიცავს მკურნალობის დაწვრილებითი ისტორიას დაწყებული მესამე საუკუნიდან.

---

**ახალი ჟურნალები.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ახალი ჟურნალები: ქართულ ენაზე **„წითელი ვარსკვლავი"** სამხედრო ჟურნალი—გამოცემა ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილებისა, **„ამერ-კავკასიის მშრომელი ქალი"**, გამოცემა ამიერ კავკასიის კომუნისტურ პარტიასთან არსებულ ქალთა განყოფილებისა და რუსულ ენაზე **„კრასნიე ვსხოდი"** გამოცემა ახალგაზდა კომუნისტურ კავშირისა. „კრასნიე ვსხოდში" დაეთმობა ნათარგმნ ქართულ მწერლობას ცალკე განყოფილება.

---

**ლექცია ფრანგულ ენაზე.** დღეს საღამოს 8 საათზე ხელოვანთა სასახლეში სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ქ-ნ ჯამბაკურ ორბელიანისა წაიკითხავს ლექციას ფრანგულ ენაზე ქართული ლეგენდების შესახებ.

---

ოთხშაბათს აპრილის 4 მე-2 სახელმწ. კონსერვატორიაში გაიმართება ახალგაზრდა მხატვარი შალვა შევარდნაძის საღამო.

I. მოხსენებას გააკეთებს გალაქტიონ ტაბიძე: ლიტერატურული ანალოგები.

II. ლექსთა თქმა:

პოეტები.

1 გ. ტაბიძე, 2. რ. გვეტაძე, 3. გ. ცეცხლაძე, 4. ხ. ვარდოშვილი, 5. ე. სიდოშვილი, 6. ა. მაღულარია, 7. ტ. გრანელი, 8. გ. აგარელი.

III. მომღერლები: სახელმწ. ოპერის არტისტები.

თამარა წერეთელი. ვ. შარაშიძე, ლ. კავსაძე, ი. ვენაძე.

IV ცეკვა.

ვალოდია ხეთაგური იცეკვებს შამილს თვისი ფანტაზიით.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ გაზეთ „ტრიბუნაში" შემდეგი განცხადება:

1917 წლიდან, ვმუშაობდი სოც.-ფედერალისტთა პარტიაში, ხოლო შემდეგ, როდესაც მოხდა სოც.-ფედერალისტთა პარტიაში განხეთქილება და იჩინა თავი ორმა ფრთამ, ჩამოვსცილდი მემარჯვენე ფრთას და თანაუგრძნობდი მემარცხენეებს, როგორც მშრომელთა ინტერესების დამცველთა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სხვა და სხვა მიზეზების გამო პარტიაში არ მიმუშავნია. დღეს კი საბოლოოდ დარწმუნებული, რომ მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის მიერ აღებული ხაზი პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში სავსებით დამაკმაყოფილებელია მშრომელთა მასისათვის. ამიტომ დღეიდან მსურს ჩავირიცხო მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რიგებში.

**ვასილ ბარკალაია.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი
ს. ს. ს. რ.
მთავარი საკურორტო მმართველობა

მომავალ შესაკეთებელ საამშენებლო—ტეხნიკური სამუშაოების გამო, საქართველოს სახელმწიფო კურორტების ალსადგენათ და სამრეწველო დაწესებულებათა ექსპლოატაციისათვის, საჭიროა შესაფერი მასალები: ლურსმები, სხვადასხვაგვარი რკინა, სალებავი, წყალსადენის და ელექტროული განყოფილებანი, ინვენტარი სანატორიებისა და საავათმყოფოებისათვის და სხ.

ამასთანავე მთავარ საკურორტო მმართველობას გასაყიდათ აქვს:

1) ბორჯომის წყალი,
2) ნახშირმჟავა გაზა ($CO_2$)
3) მიწის ჭურჭლეულობა,
4) სატყეო მასალა დახერხილი და დაუხერხავი.

წინადადებებით და შენაკვეთით მიმართონ მთავარ საკურორტო მართველობის სავაჭრო-სამრეწველო ქვე-განყოფილებას (საპიორის ქ., № 30, ტელეფ. № 4—08)

№ 311—3—2

ტირაჟი 1 700 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმმართველობის მიერ № 172 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2